საქმისწარმოება

კურსის მიზანი:

საქმისწარმოების სფეროში მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. საქმისწარმოების ფუნქციონირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის გაცნობა, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა.

კურსი განკუთვნილია:

მათთვის, ვინც მუშაობს ან სურს დაიწყოს მუშაობა საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ სფეროში და საჭიროებს ამ საგანში ცოდნის შეძენას ან გაღრმავებას, ვისაც უკავია მენეჯერის პოზიცია ნებისმიერ სფეროში და როგორც მენეჯერს, აინტერესებს უფრო ღრმად შეისწავლოს დოკუმენტების მართვის თავისებურებანი.

კურსის თემატიკა:

- ✓ საორგანიზაციო და განკარგულებითი დოკუმენტაციის მომზადება;
- ✓ დოკუმენტების აუცილებელი და დამატებითი რეკვიზიტების გაფორმების წესი;
- ✓ საქმეთა ნომენკლატურის შედგენა;
- ✓ საქმეების ფორმირება;
- ✓ დოკუმენტბრუნვის ორგანიზაცია - ელ დოკუმენტბრუნვა;
- ✓ დაწესებულებების დოკუმენტების საინფორმაციო-საძიებო სისტემა;
- ✓ დოკუმენტების მომზადება საუწყებო არქივში გადასაცემად.

საკანონმდებლო ბაზა:

1. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულება ”საქმისწარმოების ერთიანი წესების“ დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ;
2. იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება №72 „დაწესებულების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით) დამტკიცების შესახებ“;
3. იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება №70 „ელექტრონული მატარებელის სახით შესანახი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“;
4. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 76: 2009 „საორგანიზაციო - განკარგულებითი დოკუმენტები. დოკუმენტების გაფორმების მოთხოვნები“;
5. საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“.

კურსის ხანგრძლივობა: 10 აკადემიური საათი

კურსის მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა: 10 კაცი
კურსს წარუძღვებიან: ეროვნული არქივის სპეციალისტები
კურსის ღირებულება: 150 ლარი (საფასურის გადახდა ხდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №506 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობის, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“, 1 მუხლის, მე-4 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად).

კურსის დასრულების შემდეგ ტესტირების საფუძველზე გაიცემა სერტიფიკატი.